პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ მარტი, 2021 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 4,0 კვ.მ. ფართის ორი (სულ 8 კვ.მ.) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.21.21.032 და ს.კ. №05.21.21.033) განათების ბოძების მოსაწყობად, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა) შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-სათვის (ს/კ 245383678) გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონებების სარგებლობის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

3. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონებების წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარით.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5 . წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-ს წერილი (№0409-08/29; 26.11.2020წ., მერიაში რეგისტრაციის №10/142033257-14), რომელშიც აღნიშნულია, რომ გოგებაშვილის ქუჩაზე №05.21.21.020 საკადასტრო კოდით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე აპირებს მოაწყოს ორი ერთეული განათების ბოძი და ითხოვს ჯამში 8 კვ.მ. (4კვ.მ+4კვ.მ) მიწის ნაკვეთის გამოყოფას წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ორი მიწის ნაკვეთის ცალკე საკადასტრო ერთეულებად დარეგისტრირება: №05.21.21.032 – 4 კვ.მ და №05.21.21.033 – 4 კვ.მ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-ს მოთხოვნა და გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ ორი ერთეული განათების ბოძების მოწყობის მიზნით, №05.21.21.032 – 4 კვ.მ და №05.21.21.033 – 4 კვ.მ მიწის ნაკვეთები შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურს“ გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის - იჯარის უფლებით, 5 წლის ვადით. მიწის ნაკვეთების წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს ჯამში 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით (მიწის ნაკვეთების №05.21.21.032 – 4 კვ.მ და №05.21.21.033 – 4 კვ.მ) საპრივატიზებო ღირებულებაა 17360x2 = 34720 ლარი; 5%-868x2=1736 ლარი; ექსპერტიზის დასკვნა 1. №001334621, 2021წ ს/კ №05.21.21.032 – 4 კვ.მ., 2. №001334521, 2021წ, ს/კ №05.21.21.033 – 4 კვ.მ.).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-სათვის სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა განათების ბოძების მოწყობის მიზნით,

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე -სარგებლობის ვადის განმავლობაში მოიჯარის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უძრავი ქონებით სარგებლობის საფასურის სახით იჯარის პერიოდში განხორციელდება 10000 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე